ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია"ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე, ფრაქციის თავმჯდომარის თეიმურაზ ბურჭულაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდი: 2016/01/01 -2017/01/01

მოგახსენებთ,რომ ფრაქცია"ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუცია,საქართველოს ორგანული კანონით"ადგილობრივი თვირთმართველობის შესახებ" და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

ფრაქცია დაფუძნებულია 2015 წლის 1 აპრილს,სამი წევრის შემადგენლობით. წევრებია:თეიმურაზ ბურჭულაძე, (ფრაქციის თავმჯდომარე) ვახტანგ ნიჟარაძე,(სხდომის მდივანი) და წევრი ხვიჩა წულაძე.

ფრაქცია,რომელიც არის საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, განსაზღვრულია ამოცანების ერთობლივი გადაწყვეტილებებისა და საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.ასევე ვარ, საქართველოს კონსერვატორული პარტიის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ფრაქციის მიზნები და ამოცანებია,საკრებულოს მუშაობაში სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოლიტიკური ხედვის გამოხატვა და გატარება. საკრებულოსა და მისი ორგანოების (გამგეობის) საქმიანობაში მონაწილეობა.ფრაქციამ განიხილა და სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები წარუდგინა საკრებულოს ბიუროს,რომელიც განხილულ იქნა საკრებულოში და მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილებები.

ფრაქციის პირველადი ამოცანაა,შევხვდეთ ამომრჩევლებს-მოსახლეობას. გულთან მივიტანოთ მათი საჭირბოროტო საკითხები და დავეხმაროთ.

დავესწარი და აქტიური მონაწილეობა მივიღე საკრებულოს სხდომებზე. ჩავატარე ფრაქციის 12 სხდომა. განვიხილე ამომრჩეველთა მიერ დაყენებული საკითხები,რომლებიც გადაწყდა დადებითად. ვარ საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიული კომისიის წევრი. თითქმის ყველა კომისიას დავესწარი დაგამოვხატე ჩემი მოსაზრებები.

ფრაქციამ 2016 წელს მიიღო ერთობლივი გადაწყვეტილება სოფ. ვაკიჯვარში რაგბის განვითარების შესახებ. რის საფუძველზეც შეიქმნა რაგბის ჯგუფი ახალგაზრდობის შემადგენლობით. მათ დაენიშნათ კვალიფიციური მასწავლებელი ,რომლის დაფინანსებაც გამოიყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ასევე რაგბის ქვეჯგუფები დაარსდა სოფ.დვაბზუში, სოფ.ჯუმათსა და დ|ლაითურში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ.მერიიდან ამომრჩევლებმა 2016 წლის შემოდგომაზე მოგვმართეს თხოვნით.კერძოდ: ითხოვდნენ სკოლამდელი ბაღის გახსნას.მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და 2017 წლის ბიუჯეტიდან გამოყო თანხა,აშენდენდება ხუთ ჯგუფიანი კაპიტალური ბაღის შენობა. ჩვენი ფრაქციის წევრები აქტიურად ეხმარებიან მოსახლეობას.მაგალითად ვახტანგ ნიჟარაძე,რომელიც არის ვაკიჯვრის თემის მაჟორიტარი, სოფ.ვაკიჯვარში,სოფელს მოუგვარა წყლის პრობლემა.ასევე 4 ოჯახს გადაუხურა სტიქიით დაზიანებული სახლი.

შემოქმედის თემის მაჟორიტარმა ხვიჩა წულაძემ სოფლის საჯარო სკოლაში მოახდინა სკოლის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.ასევე მოაწყო რამდენიმე უბნის განათება.კერძოდ: მგალობლიშვილისა და წიტაიშვილის უბნებზე.

ვფიქრობ,რომ ანგარიში უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ შესრულებული, არმედ სამომავლოდ გასაკეთებელ სამუშაოებსაც.მოსახლეობის ჩართულობით, მათი ინტერესების გათვალისწინებით ბევრის მოგვარება შეიძლება. ვიმედოვნებ,რომ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ ხალხის ნდობაზე დაფუძნებულ,ადგილობრივი ინტერესების გატარებას. ზემოთ აღნიშნულიდან ,მცირე ჩამონათვალია ჩვენი ფრაქციის მიერ განხილული,მოგვარებული საქმეებიდან,რაც საკმაოდ კარგი შედეგით აისახა გასული წლის განმავლობაში.

ფრაქციის თავმჯდომარე: თეიმურაზ ბურჭულაძე

26.01 2017